

საიდ. №65941/03

გ ა დ ა წ ყ ვ ა ტ ი ლ ე ბ ა №62-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტოან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), მ. ბაკურაძე, ლ. ახობაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა ანტონ ობოლაშვილის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №62-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 11 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის ოგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1747/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „GeoMedicine დჯეომედიცინ ჯეომედიცინი“ (საიდ. №65941/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 და 35-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ თ ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების

დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 11 დეკემბრის №1747/03 ბრძანებაზე თანდართული ქსპერტის დასკვნის თანახმად, სარგებისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „GeoMedicine ჯეომედიცინი” აღწერილობითია განცხადებული საქონლის და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება რეგისტრაცია, კერძოდ მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის და 35-ე კლასის მომსახურებისათვის, რადგან სიტყვიერი ჩანაწერები „GeoMedicine ჯეომედიცინი” ასოცირდება მედიცინასთან, ხოლო განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის მედიცინა მიუთითებს მხოლოდ საქონლის სახეობაზე, დამახასიათებელ თვისებებზე დანიშნულებაზე და ამ საქონელთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურებს სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი ანტონ ობოლაშვილი არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლად მოყვანილი „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც – აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლისგან ანდა მიჩნეულია ასეთად”, ხოლო ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სიმბოლოს არცერთ ცნობილ ენაზე არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა და წარმოადგენს ფანტაზიურ აღნიშვნას, შესაბამისად, იგი ვერ იქნება აღწერილობითი და მითუმეტეს ვერაფრით ვერ იქნება „შედგენილი მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად”. აპელანტის პოზიციით, ზემოთქმულ არგუმენტს ადასტურებს

საქართველოს მიერ საკუთრივი მართლზომიერად კომპანიის „უორლდ მედიცინი ლიმიტედ“-ის სახელზე სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირებული ფანტაზიური აღნიშვნა „WORLDMEDICINE ВОЛДМЕДИЦИН ვოლდმედიცინი“ (რეგ. №19190, რეგ. თარიღი – 30.03.2009 წ.). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტი ითხოვს საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 11 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1747/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „GeoMedicine Джекомедицин ჯეომედიცინი“ (საიდ. №65941/03) დარეგისტრირებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების აღგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GeoMedicine Джекомедицин ჯეომედიცინი“ (საიდ. №65941/03) ფანტაზიური სიტყვა და მას არ აქვს სემანტიკური მნიშვნელობა და მიაჩნია, რომ ინფორმირებულ თუ არა ინფორმირებულ მომხმარებელზე სიტყვიერი ელემენტი „GeoMedicine Джекомедицин ჯეომედიცინი“ იქონიებს იმგვარ შთაბეჭდილებას, რომ აღნიშნული პროდუქტი წარმოადგენს საქართველოში წარმოებულ მედიკამენტებს - წამლებს, ან/და მედიცინასთან, როგორც სამედიცინო დარგთან, დაკავშირებულ სხვა საქონელს. აბრივიატურა „GEO“

წარმოადგენს საქართველოს შემოკლებულ დასახელბას ლათინურ ენაზე, რაც რეგულირებულია საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქსტანდარტი) 2003 წლის 14 ნოემბერის №342 ბრძანებით „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 003-2003 (ისო 3166 – 3 : 1999) “მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორი” დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული კსალიფიკატორის 2.1 პუნქტში მოცემულია ქვეყნების დასახელებათა ჩამონათვალი, სადაც საქართველოს შემოკლებულ დასახელებად მოცემულია აბრივიატურები GE (ალფა კოდი 2) და GEO (ალფა კოდი 3). რაც შეეხება სიტყვიერ ელემენტს „მედიცინი“ იგი ნებისმიერი ქართველი თუ სხვა ეროვნების მომხმარებელში იწვევს მედიცინის, როგორც მეცნიერების დარგის ასოციაციას. გარდა ამისა, სიტყვიერი ელემენტი „მედიცინი“ („MEDICINE“- „მედისინ“) ინგლისური ენიდან ითარგმნება, როგორც მედიცინა - მეცნიერების დარგი და ასევე როგორც წამალი, მედიკამენტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ გაცხადებული სასაქონლო ნიშანი აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია და პირდაპირ მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე (GEO) საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილზე, საქართველოზე და ასევე საქონლის სახეობაზე, კერძოდ საქართველოში წარმოებულ მედიკამენტებზე, ფარმაცეპტულ პრემარატებზე (MEDICINE). გარდა ამისა, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილისა და საქონლის სახეობის მხოლოდ აღწერილობითი სიტყვიერი ჩანაწერისაგან, იგი არ წარმოადგენს ფანტაზიურ სიტყვას მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, შესაბამისად, არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი. კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სასაქონლო ნიშანი განხილული უნდა იქნას მთლიანობაში, მაგრამ ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს ევროპავშირის შიდა ბაზრის პარმონიზაციის ოფისის (OHIM) სახელმძღვანელო პრინციპებზე,

რომლებსაც მართალია არ აქვთ საგალდებული ხასიათი და მხოლოდ სარეკომანდაციო მნიშვნელობას ატარებენ, მაგრამ კოლეგია მიიჩნევს, რომ საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინება, მით უფრო რომ მუდმივად ხდება საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების ევროკავშირის დირექტივებთან და სახელმძღვანელო პროცესების პარმონიზაცია. სასაქონლო ნიშნებისა და დიზიანის საქმის წარმოების შესახებ ექსპერტიზის „ბ” ნაწილის 7.3.3. პუნქტი ([http://oami.europa.eu/ows/rw/resource/documents/CTM/guidelines/examination\\_en.pdf](http://oami.europa.eu/ows/rw/resource/documents/CTM/guidelines/examination_en.pdf))

ეხება ორი სიტყვიერი ელემენტის შეერთების შედეგად წარმოშობილ სასაქონლო ნიშნებს. ზემოაღნიშნული აბზაცის თანახმად, როდესაც სასაქონლო ნიშანი შექმნილია ორი სიტყვიერი ელემენტის შეერთების შედეგად, არ არის აუცლილებელი, რომ ეს სიტყვა იყოს ამა თუ იმ ენის შემადგენელი ნაწილი და გამოიყენებოდეს ლიტერატურულ ენაში როგორც ერთიანი სიტყვა ან იძებნებოდეს ლექსიკონში. უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი ასეთი სასაქონლო ნიშნების მიმართ, სახეზეა მაშინ, როდესაც ორ დაკავშირებულ სიტყვას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ეს ორი სიტყვა ცალ-ცალკე არის აღწერილობითი. გაცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ორი სიტყვის ნაერთს, პირველი - GEO, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის საქართველოს შემოკლებული სახელწოდება ინგლისურ ენაზე და ცნობილია მომხმარებელთა განუსაზღვრელი წრისთვის, აღნიშნული აბრევიატურა უდავოდ მიუთითებს საქართველოზე და ქმნის საქონლის საქართველოსთან კავშირის ასოციაციას, შესაბამისად სახეზეა გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით აღწერილობის კრიტერიუმი. მეორე სიტყვიერი ელემენტი - „მედიცინი“ თავისი ქლერადობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე საზოგადოების ფართო წრისთვისაა ცნობილი, როგორც მედიცინა და ასევე წამალი, მედიკამენტი, ამ შემთხვევაში სახეზეა საქონლის სახეობის აღწერის კრიტერიუმი. შესაბამისად, გაცხადებული სასაქონლო ნიშნის ორივე სიტყვიერ ელემენტს აქვს მყარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა და მათი ერთ სიტყვად გაერთიანება არ უკარგავს თითოეულ ელემენტს დამოუკიდებელ სემანტიკურ მნიშვნელობას და ვერ ხდის ნიშანს ფანტაზიურს მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. სწორედ ასეთ

შემთხვევებს განიხილავს სახელმძღვანელო პრინციპების „სასაქონლო ნიშნებისა და დიზიანის საქმისწარმოების შესახებ“ ექსპერტიზა და მიუთითებს, რომ როდესაც სასაქონლო ნიშანი შედგენილია ისეთი სიტყვიერი ელემენტებისაგან, რომლებიც ცალკეული კრიტერიუმით აღწერილობითია საქონლის სახეობის ან გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, სიტყვათა მსგავსი შეერთება არ სძენს სასაქონლო ნიშანს ფანტაზიურ მნიშვნელობას და შესაბამისად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს. კოლეგია ასევე არ ეთანხმება აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ უკვე რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი WORLD MEDICINE. ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო პრონციპები, ყურადღებას ამახვილებს სწორედ ასეთ შემთხვევებზე და მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სასაქონლო ნიშანი უნდა განიხილებოდეს ინდივიდუალურად და ზემოთქმულს არ შეიძლება ჰქონდეს სავალდებულო მნიშვნელობა ყველა შედგენილი სასაქონლო ნიშნის მიმართ. ტერმინი „WORLD - მსოფლიო“, არ მიუთითებს რომელიმე კონკრეტული ქვეყნის, გეოგრაფიული ადგილის კუთვნილებაზე და გულისხმობის მსოფლიო მედიცინას, მსოფლიო მედიკამენტებს და შესაბამისად, ვერ იქნება მოყვანილი მაგალითი გაზიარებული სასაქონლო ნიშნის „GeoMedicine ჯეოМедицин ჯეომედიცინი“ აღწერილობითობაზე მსჯელობისას. გარდა ამისა განცხადებული სასაქონლო ნიშანი ვერ დარეგისტრირდება 35-ე კლასის მომსახურების მიმართ, ვინაიდან იგი მიუთითებს საქართველოში მედიცინის სფეროში გაწეულ მომსახურებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებულ სასაქონლო ნიშნის „GeoMedicine ჯეოМедицин ჯეომედიცინი“ (საიდ. №65941/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის

თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტოან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ანგონ ობოლაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 11 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1747/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

ლ. ახობაძე

გ. ბაკურაძე